| ფასი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—189 1877—1889

გაზეთის დასაგზავნად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.


დღესასწაულისამო შემდეგი ნომერი გამოვა სვაბათს, 25 მკათათვეს.

## ახალი ამბავი

*** ბ-ნს გ. კჩიჩუას, რომელიც ამ ჟამად ქალაქ ტრახანში იმყოფება, როგორც გვატყობინებენ, კრასნოიარის ტაძარში აღმოუჩენია ერთი ძველი ვერცხლის მოქროვილი ჯვარი, ნაშთი ჩვენის ძველის ეკლესიისა. ჯვარს აზის თილად 1780 წელი და საკმაოდ კარგადაც არის თურმე დაცული. ამ ჯვარზე გამოხატულია უფალი აბაოთი, ღვთისმშობელი, წმ. იოანე და გოლგოთა. ღვთის-მშობლისა და წმ. იოანნეს ქვემოდ ბერძნული ზედ-წარწერაა. გოლგოთას ქვემოდ ქართულად (ხუცურად) სწერია: უფლო შეიწყალე გამკეთებელი ამისა არხიმანდრიტი რუსთაველი იოანიკე. ქრ. აქეთ 1780. ეს წარწერა ცოტათი დაზიანებულია. ჯვარი სიმაღლით ათ გოჯია და სიგანით-კი ექვსი. ბ-ნი ჩიჩუას გამოუკითხავს მღვდლებისა და მოხუცთათვის, თუ როდის ან როგორ შეიძინა კრასნოიარის ტარმა ეს ნაშთი ძველის ქართულის ეკლესიისა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ შეუტყვია-რა.

*** ქუთაისი: კარგი იქნება, რომ ყურადღება მიაქციონ, ვისიც ჯერ არს, ჩვენის პოლიციის უბრალო მოხელეებს, ესრედ-წოდებულს «გოროდოვოებს», რომელთა უზრდელი საქციელი მართლაც რომ წრეს არის გადასული. ეს პოლიციელები თავისს დანიშნულ ალაგას სიარულის მაგიერ ხშირად ბულვარზე სკამს გამოატანინებენ ხოლმე რომელსამე დუქნის პატრონს, გამოიჭიმებიან ზედ, ფეხს ფეხზედ აჰპლაკვავენ და არიან ერთს მასლაათში ქუჩის ერთის პირიდგან მეორე პირზედ. ასე იქცევიან მიყრუებულს ალაგებში-კი არა, თვით უპირველესს ბულვარზე, სადაც დიდ-ძალი მოსეირნე ხალხი დადის დილიდგან საღამომდე. გამვლელი რომ დაინახონ, ყურსაც არ გააპანტყურებენ ხოლმე და იძულებულსა ჰყოფენ ბულვარიდგან გადმოვიდეს და იმ ალაგს მხარი აუქციოს, სადაც პოლიციელია გამოჭიმული.

*** ბათუმი: ბათუმშიაც შესდგომიან ქართულის წიგნების ბეჭდვას. ბ-ნ ა. მახარაძის სტამბაში უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ერთი პატარა წიგნაკი, რომელიც შეიცავს რამდენსამე ლექსს და ღირს ორი შაური. ქართულის წიგნების ბეჭდვა ბათუმში მეტად სასიამოვნო ამბავია, ხოლო სამწუხარო ის არის, რომ პირველი წიგნაკი ვერაფერი შეილია.

*** კახეთიდგანა და ქიზიყიდგან მოხელეები გვატყობინებენ, რომ იქ ყურძენი ამ ბოლოს ხანებში ძალიან მოკეთებულა და ღვინის მოსავალს შარშანდელზე ერთი ორად მეტს მოელიანო.

*** სომხურს გაზეთს „ნორ-დარს“ ქ. ნუხიდგან ატყობინებენ ერთს იშვიათს მაგალითს ადამიანის ხანგრძლივად სიცოცხლისას. ამ ქალაქის მახლობლად ერთს მონასტერში გარდაცვლილა 130 წლის ბერი.

*** 20-ს ამ თთვისას, მეშვიდე განყოფილებაში, სპარსეთის ქვეშევრდომი იუხან ავდიშევი, თექვსმეტის წლისა, ყვავილებს რწყავდა აივანზე და ამ დროს, გაუფრთხილებლობის გამო, გადმოვარდა აივნიდგან და ძალიან დაშავდა. ავდიშევი გაჰგზავნეს საავადმყოფოში.

*** მესამე განყოფილებაში ერევნის გუბერნიის ქ. გუმბრის მცხოვრები ყაზარ სიმონიანცი მტკვარში ბანაობდა და დაირჩო. გვამი ჯერ ვერ უპოვნიათ.

*** 20-ს ამ თთვისას, პირველს განყოფილებაში, პოლიციის მოხელემ შეიპყრო ჯარის-კაცი კონსტანტინე ხმალაძე, რომელიც შარშან გამოქცეულა კავკასიის პირველ მსროლელთა ადგილობრივ დრუჟინიდგან. ხმალაძე ჩააბარეს ტფილისის საკომენდანტო სამმართველოს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ლეჩხუმის მაზრა. ლეჩხუმი შეადგენს ერთს პატარა მაზრას ქუთაისის გუბერნიისას. იგი მთიანი ადგილია და საკმაოდ არის ტყე-ველით შემკული. ლეჩხუმში ორი მდინარეა; ერთი ცხენის-წყალი, რომელიც გამოდის სვანეთის მთიდგან (უშგულის მთიდგან), რწყავს ლეჩხუმის და სამეგრელოს ვაკეებს და ერთვის რიონს. მეორე, უფრო პატარა, ლაჯანური, გამოდის წითურიდამ (სვანეთის მთის შტოა) და ერთვის რიონს ალპანას. ამ მდინარეებს დიდი მნიშვნელობა აქვს: მაგალითად, მთელის ზაფხულის განმავლობაში განუწყვეტელი მუშაობაა, მოაქვთ ხე-ტყე და ამ ხე-ტყის ჩამოტანა ძლიერ გაადვილებულია ამ მდინარეების წყალობით. ეს რომ არა, უეჭველია, ლეჩხუმელების ყოფა-მდგომარეობა ბევრად უფრო შევიწროებული და დაქვეითებული იქნებოდა. აგრეთვე მთელს ზაფხულს მუდმივი თევზაობაა. აქ ბევრი კალმახი და წვერა იცის და მდინარე ლაჯანურის კალმახი ხომ ნაქებია.

ჰავა ლეჩხუმისა, მდაბიო ადგილებს გარდა, ზომიერი და გრილია. კარგის ჰავით შესანიშნავნი არიან: ლაილაში, უცრერი და ნასპერიპი. რაიცა შეეხება მდაბიო ადგილებს, ესენი-კი ვერ არიან სახარბიელონი: დაიწყება თუ არა ზაფხული, ციებ-ცხელება თავს იჩენს და უიმისოდაც გაჭირებულს ხალხს ათობითა და ოცობით მიალაგებს საწოლზე. ცაგერი მაინც განთქმულია ამ სენით და უმეტესი ნაწილი „ჩინოვნიკობისა“ იძულებულია გადაეხიზნოს სადმე სხვა-და-სხვა სოფელში. დაუმატეთ ამას კოღოებისა და სხვა-და-სხვა მწერის მოუსვენრობა და თქვენ ნათლად წარმოგიდგებათ ცაგერი და იმისი ავკარგიანობა.

თამამად ვიტყვით, რომ სხვა სენიკი არა, ეს ციებ-ცხელებაც საკმარისია ლეჩხუმელებისათვის. ამ გარემოებასთან ერთად, წარმოიდგინეთ, ერთი ისეთი ექიმიც არ აღმოჩენია ლეჩხუმს, რომ თავის დროზე შემწეობა მისცეს შეწუხებულს ხალხს. მართალია, აქ არიან ერთი მაზრის და მეორე ლაილაშის საავადმყოფოს

## ფელეტონი

წერილი მეგობართან

ძმაოქვთიმე!

დიდი ხანია მინდა წერილი მოგწერო, მაგრამ ვერ მოგწერე,—ვერ მოგწერე იმიტომ-რომ არ ვიცოდი რა მომეწერა. სულ შენის წერილის ბრალი-კია, კაცმა რომ სიმართლითა სთქვას: დიდი ხანი ვივ გაკრუებული შენის წერილისაგან, ათასი ნაირი ფიქრი და გრძნობა აძრა, და თუ შენ, როგორც შენ იცრები, გული გაქვს ჩათუთქული, შიც ცეცხლის ალი გიტრიალებს, გტკა, შენმა წერილმა, შენის გულის კვილით შედედებულმა, მე თავიც მეტკივა, დამადუნა, დამამძიმა და ჭალაქ „იდეიების“ კლდეზედ გადამჩრ. ეხლა დონეზე ვარ დამდგარი, სულ აი გარე შემომეფანტა, ეხლა დრხეინებული დალაგებით, აუჩქარებლად მოგწერ ყველაფერს. გუშინ-წინაც ჩუჯდი, მინდოდა ერთი კაი მარილიანი წერილი მომეწერა, მაგრამ, რომ იდგინე, ვერაფერი ვერ დავუწერე აზრები წინ მიფრინავდნენ ჰილყვავებით, კალამიც კალიასავით ჰრიჰინ-ჰიჰინით მისკიაობდა, მიცვიოდა მაღლა აწევად, მაგრამ ვერ ეწეოდა. დღე-კი ეს გუშინდელი ჰილყვავები ერ იდ სოვაშ ქცეულან, ეს სოფ ინჯად, მხრების ფართეშით მხარ ა ხარ მისდევს კალამს, მისდევს ის რომ ლამის კალამიც გადაყლაპოს და წერილიც იწერება...

გულით მთხოვ, მაგრამმე „დასობისას“, „ნაპრაელენიებისას“ ვერაფერს მოგწერ. ეს, თუ ჩვენს მწერლობას თვალ ყურს ადევნებ, შენც შეტყობილი გექნება. ან რა საჭიროა განგიმარტო თავის თავად განმარტებული „პოლიტიკ-ეკონომ-სოციალ-დემოკრატ-რიალიზმების“ დასი, რომელიც თავის ხორცს თავისისავე კბილით იჭამს და საცაა შეიჭამს კიდეც. მე მინდა ჩვენს ცხოვრებას დავუკვირდე, იმისი სურათი დაგიხატო. დიახ, ცხოვრებას, რადგან ყოველი მიმართულება და „ნაპრაელენიები“ იმისთვის არიან შექმნილნი და არა ცხოვრება „ნაპრაელენიებისთვის“. ხომ დღესავით ცხადია, რომ მიმართულება ყოველის ინტელიგენტისა და ინტელიგენტურის დასისა უნდა იმის საჭიროებას ეთანხმებოდეს, ცხოვრებისაგან უნდა იყოს გამოწვეული. ჩვენში ზოგნი ამას არა ფიქრობენ, ისინი ცხოვრებას ეუბნებიან: შენ ეს არ გიჭირს, მაგრამ უნდა უეჭველად გიჭირდეს, რომ ჩვენს „ნაპრაელენიეს“ ნიადაგი ჰქონდესო. ეჰ, რას იზამ, რაღა ბევრი გელაპარაკო იმათზე? ერთხელვე რაც კაცს შეჰყვარებია, ან რაც დაუჟინია ჟინიანს, ადვილად ვერ გადააჟინებინებ, თუ შეიძლება ესე ვსთქვათ.

მე მინდა ჩვენს ცხოვრებას დაგაკვირვო, რადგან ამ ათს წელში, ე. ი. მას შემდეგ, რაც შენ რუსეთს იმყოფები, ბევრი რამ გამოიცვალა, თუმცა არა იმ ფერად, როგორც შენა გგონია. ჩვენში დღეს, ღვთის მადლით, პროლეტარიატის ხსენებაც არ არის, როგორც რუსეთსა და დასავლეთს ევროპაშია, თუმცა თანამგრძნობელნი-კი მოეპოვებიან ამ არარაობას. თითოეულს ჩვენს გლეხს თავისთვის ქოხი უდგია, თავისთვის ოჯახი აქვს. თუმცა ეს ოჯახი დაძველებული, ჩამონგრეულია ადგილ-ადგილ და ბოძებ-დაფუტურებული, მაგრამ მაინც ოჯახია, ჯერ კიდევ ამ ოჯახში ცეცხლი კერაზე ანთია... რაც უნდა უკანასკნელი გლეხი იყოს, თავისთვის ქოხს მოკლებული არ არის და, როდესაც გარედამ ცხოვრებისაგან თვალებ და გულ-დაწყლულებული შედის ოჯახში, თავისი თავი კეისარი ჰგონია. მჭადი და წყალი მაინც არ აკლია, სტუმარი მიუვა, ერთს ვარიკას და ნახევარ თუნგს ღვინოს, რაც უნდა იყოს, მაინც კიდევ იშოვის. ღმერთმა დაიფაროს მანდაურულად აქ იყოს!

მანდ ნახევარი მდაბიო ხალხი, ნიადაგს მოსხლეტილი, უსახლ-კარო წოწიალით გამოდის და თავის შესაფარად სოროებს თურმე სთხრიან. წაკითხული გექნება კარონინის წერილი*), სხვა მწერლებისას არაფერს გეტყვი. არ იქნება ურიგო გავიხსენოთ ამ წერილის ზოგი ადგილები. აი თუნდ ესა: „Они голы, босы, „не пимши“, „не ѣмши“, безъ домовъ, безъ семьи, внѣ общества, почти внѣ природы,—чѣмъ же они живы“-ო? კითხულობს ავტორი. „ѣмши“ რა სათქმელია, როდესაც „пимшись“ ველარაფერს ანარჩუნებენ. თუ რასმე მოანარჩუნებენ-და, იგი დანარჩენი „орелъ“-„рѣшка“-ს უნდება. თუ რომელიმე წააგებს თავის სარჩო-საბადებელს, მერე შალვარსაც ჩამოდის, არ ეზარება წაგებულს საჯაროდ შალვარი გაიხადოს, უკაცრავად ამ სიტყვაზედ, და ათამაშოს. ორნი თამაშობენ „орелъ“-„рѣшка“-ს. აი ამ თამაშის სურათს როგორ აგვიწერს იგივე ავტორი. „Наконецъ верзила поднялъ съ земли послѣднія двѣ копѣйки, принадлежащія его противнику. Мужиченко на минуту оторопѣлъ. Но затѣмъ, взволнованный и вазбужденный, онъ показалъ на свои кубовые шаровары». ავტორი ამ შალვრის ბიოგრაფიასაც მოგვიყვება, თუ როგორ გაიცურა „მუჟიჩენკომ“ ეს შალვარი ერთ ეზოდამ ნაკიდები თოკზე სხვა სარეცხთან ერთად, რადგანაც უპატრონოდ ეკიდა, და „მუჟიჩენკოს“ შალვარი-კი ჩამომდნარი და ჩამოკონკილი იყოვო. „მუჟიჩენკოს“ ეს ნაპარევი შალვარი მოაქვს და იმასაც აქ აგებს და თავის მოწინააღმდეგეს კიდეც ეხვეწება, ოღონდაც მეთამაშე და აი შალვარი მაცვია ტანზე, ფასად აიღე, გავიხადოო, და იხდის კიდეც საჯაროდ.

— Мечи штаны! сказалъ онъ съ судорожной улыбкой.

— Въ какую цѣну? возразилъ равнодушно верзила.

— Цѣлковый!

— Ну, братъ, въ цѣлковый метать не стану.

— Ей-богу, за этакіе штаны я, бывало, платилъ по цѣлковому! убѣдительнымъ тономъ проговорилъ мужиченко (გვ. 268).

ჩვენში, ღმერთო შენით, ბანქოს თამაშს ჯერ ფეხი არ გაუდგამს გლეხკაცობაში და თუნდაც რომ იყოს ბანქოობა, ჩვენი კაცი მაგას არ იკადრებს. მაგრამ უნდა გაგიტყდე და სიმართლე გითხრა ზემოთ აღწერილის მსგავს შემთხვევაში ისე არ მოიქცეოდა ჩვენი კაცი, როგორც „მუჟიჩენკო“ მოიქცა, თუმცა იმასაც-კი ახალმა დრომ, ახალმა ცივილიზაციამ თავისი დაღი დაასო. ჩვენი გლეხი მხოლოდ სინიდისსა ჰხდის ხოლმე ქუდსა და შალვარს. შეგხვდება ჩვენს ხალხში იმ გვარი მაგალითები, რომ ერთი მეორეს ეუბნება, როცა პირველს „სასუდოდ“ გაუხდება საქმე: ეხლა შენ მიმოწმე და შემდეგში, როცა დაგჭირდება მოწმობა „სუდში“, მე გიმოწმებო, თითოეულ სასამართლოს განყოფილების კარებზე „დუქნობით“ იპოვება «მოწმეები», რომელნიც არღნად გადაქცეულს სინიდისზე მანათად, რა „პესნიასაც“ გინდა, დაუკრავენ მსაჯულის წინ. მაინც ნუ დაგავიწყდება, რომ ამ გვარს არსებას საკუთარი კერა აქვს.

რა შეჰქმნის ჩვენში პროლეტარიატს, როდესაც „კაპიტალი“ და „კაპიტალისტები“ არსად არიან. არიან მხოლოდ ჩარჩ-სოვდაგრები, პარუნები, რომელნიც, როგორც ქარიდამ თვალებ-გადმობრეცილი ბაყაყები, წამომსხდარან დუქნების წინ და მუშტარს მიელიან, ელიან დილიდამ მოყოლებული მეორე დილამდე, რომ მიუტანონ ლუკმა-პური, იყიდონ რამ და ხეირი, მოგება აჩვენონ, შაურიანში ექვსი შაური მისცე. ჩარჩები დახეტიალობენ საწერილმანოთი და ხუთის მანეთის ზიპილ-პიპილებს ხუთს თუმანს

*) იხ. „Русская Мысль“, январь, 1889 г., სათაურით „На границѣ человѣка“.

ექიმები, მაგრამ რად გინდათ? პირველს თქვენს დროზე ძვირად ჰნახავთ და რომ ჰნახოთ კიდეც, წაყვანა მოუხერხებელია. მეორე-კი სულ ლაილაში იმყოფება და უფრო დამჯდარის ხასიათისაა, მაგრამ ხშირად არა «სცალიან».

ამ სიკეთესთან ისიც უნდა მოვიხსენიო, რომ ვერც აქაური აფთიაქი გამოგვადგა. აფთიაქარი, როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიაც, ვალდებულია იქონიოს ყოველთვის ახალ-ახალი წამლები. ჩვენს აფთიაქში-კი ძველი წამლებიც ბლომად არის. ამას გარდა წამალი ძალიან ძვირად იყიდება. დასამტკიცებლად ამ სიტყვებისა, მოვიყვან ერთს ამბავს. საუკეთესო ქინა გირვანქა უწინ ღირდა 96 მან., გრანს უწევდა 4 კაპ., ეხლა-კი ქინა ძლიერ გაიაფდა, გირვანქა ჩამოვიდა 23 მ., გრანი ½ კ. არ უწევს. აქ-კი, ჩვენს დალოცვილს ცაგერში, ისევ ის ფასი აქვს რაც წინა ხანებში ჰქონდა. ცოტა არ იყოს ხანდახან შეცდომებიც შემოეპარება ხოლმე. ამ აფთიაქს, ექიმის გამოწერილი რეცეპტები ვერ იკითხება ხეირიანად, არ ვიცი, ვისი მიზეზით, ექიმისა, თუ მეაფთიაქესი. ამ გვარს შეცდომას შეიძლება ხშირად კაცის სიკვდილიც მოჰყვეს.

საზოგადოდ ლეჩხუმში მიწა კარგია. აქ ძვირად შეჰხვდებით ქვიან, თიხის, აყალო მიწებს, უმეტესი ნაწილი შავი მიწაა. მოსავალიც კარგი იცის, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც მოსავალს კარგი დარი დაუდგება და ხალხი თავისუფლად მუშაობს. სამწუხაროდ, სხვა-და-სხვა განკარგულების გამო ხალხი ხანდახან ველარ ასწრებს მიწის შემუშავებას და მაშინ, თქვენც იცით, რა მოუვა. იგი იძულებულია მთელი წელი გაატაროს წვალებით და უბედურებით. აქ ისიც უნდა მივილოთ მხედველობაში, რომ ლეჩხუმის გლეხ-კაცობას, რადგან ზომაზე მეტი სახნავ-სათესი არა აქვს, მიწას იმდენს ვერ ამუშავებენ, რომ მეორე და მესამე წლამდე გასტანოს. აი ეს მიზეზია, რომ ლეჩხუმელებს ეწვევა ხოლმე დაუპატიჟებელი სტუმარი—შიმშილი.

ლეჩხუმში თავი და თავი სამუშაო თვეებია მარტი, აპრილი, ნახევარი მაისი. ამ თვეებში აქ ხვნა, თესვა, ფარცხვაა. მე თითონ ვიყავი მოწამე იმ განკარგულებისა, რომელიც გამოიცა ცაგერში გზების კეთების შესახებ. კარგი გზები უუსაჭიროესია ლეჩხუმელებისათვისა, გვესმის ამ გზების მნიშვნელობაც, მაგრამ ისიც უნდა მივილოთ მხედველობაში, რა დრო უნდა გამოერჩიოს ამ გზების კეთებას მუშა ხალხსაც აქვს თავისუფალი დრო, მაგალითად ხვნა თესვისა და სიმინდის გამარგვლის შემდეგ და სხვ. ჩვენში-კი მთელი მუშა ხალხი უდროვოდ გაჰყავთ გზების საკეთებლად და ამიტომ გლეხობა ველარ ასწრობს თავის საქმეს, და, თუ წელიწადმა უმტყუნა, ბუნებამ იმისი ძალი მოაკლო, მაშინ უბედურება აუცილებელია.

დ. ნასპერელი

# რუსეთი

— სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უნდა ცალკე კათედრა დააარსოს მოსკოვის პეტრეს სამეურნეო აკადემიაში ღვინის კეთებისა. სტუდენტები პრაქტიკულ მუშაობათათვის რუსეთის სამხრეთ ქვეყნებში გაიგზავნებიან და აქ თვალით დაინახავენ, როგორ უნდა მოვლა ვენახსა და რა რიგად უნდა კეთდებოდეს ღვინო გონივრულის წესით. ყოველ ამისთვის სამინისტრო იზრუნებს, რომ შესაფერი მევენახობა იქმნას გამართული მოხერხებულ ალაგას.

— იგივე სამინისტრო დიდად სცდილობს აბრეშუმის კეთება გაავრცელოს კავკასიაში. ამასთანავე სცდილობს ბამბის თესვასაც მიაჩვიოს სამხრეთ ქვეყნების ხალხი. ამისათვის თესლს ურიგებს მხვნელ-მთესველთა საცდელად დასათესად. ბევრს უცდია კიდეც ბამბის დათესვა და ბამბა რიგიანად მოსულა, ისე რომ ქარხნებში არაფრით არ დაუწუნებიათ ამ გვარად მოყვანილი ბამბა.

— უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს დააარსოს ყოველს გუბერნიაში ახალი დაწესებულება, რომელიც მოვალე იქნება განაგოს საქმე ციხე-საპატიმროთა გუბერნატორისა და ციხე-საპატიმროთა მთავარ-სამმართველოს ხელმძღვანელობით. ეს დაწესებულება ცალკე განყოფილება იქნება ციხე საპატიმროთა გამგეობისათვის და იმოქმედებს საგუბერნიო მმართველობის სხვა განყოფილებასთან ერთად. ამ განყოფილებაში იქნება საგუბერნიო ციხე-საპატიმროთა ინსპექტორი, იმისი თანაშემწე და კანცელარია. ინსპექტორს ექმნება ჯამაგირი 3000 მან., იმის თანაშემწეს—1800 მან., საქმეთა-მწარმოებელს — 1000 მან. და საქმეთ მწარმოებლის თანაშემწეს—600 მან.

# უცხოეთი

საფრანგეთი. გამარჯვება რესპუბლიკელებისა საგენერალო საბჭოთა არჩევანებზე კარგი ნიშანია დღევანდელის საფრანგეთის მთავრობისათვის და ცხადად მოასწავებს ბულანჟელების დამარცხებას საზოგადო არჩევანებზედაც. საბჭოთა არჩევანებზე სცდილნენ ხოლმე თავიანთ ძალას სხვა-და-სხვა დასნი. და აი წელსაც ასეთი ცდა იყო გამართული. ბულანჟელებს რომ ამ არჩევანებზე გაემარჯვათ, თავს გაეიდოდნენ, დაიწყებდნენ ყვირილს თავიანთ გამარჯვების გამო და ბევრს გადიბირებდნენ საშემოდგომოდ, როცა საზოგადო არჩევანები უნდა მოხდეს დეპუტატთა პალატის წევრთა. მაინც წინადაც საბჭოთა არჩევანებზე რესპუბლიკელებს ბევრი ადგილები ეჭირათ. 76 საბჭოში, საფრანგეთის სხვა-და-სხვა მაზრასა და თემში, უმრავლესობა რესპუბლიკელებისა იყო, მაშასადამე, თითქმის 4 წილი ეჭირათ ხელში რესპუბლიკელებს და მხოლოდ ერთი წილი სხვა-და-სხვა რეაქციონერებს ჰქონდათ ხელში ჩაგდებული. წელს იყო ასარჩევი 1429 წევრი საბჭოსი. ამათში რესპუბლიკელების ხელში იყო 976 ადგილი, ხოლო რეაქციონერების ხელში 453 ადგილი. არჩევანებმა დაამტკიცა, რომ ბულანჟეს საიმისოდ აღარა სწყალობენ. სულ 9 კანტონში იქმნა არჩეული. კონსერვატორებმა 1429 ადგილიდამ მხოლოდ 12 ახალი ადგილი შეიძინეს. დიდი არაფერია ასეთი გამარჯვება, მით უმეტეს, რომ ზოგიერთს კანტონში ხელ-მეორედ უნდა იყაროს კენჭი და შეიძლება კონსერვატორებმა აქ დაჰკარგონ იმდენი ადგილი, რამდენიც მოიგეს წინად.

— უმაღლესი სასამართლო ამ თვეის გასულს, ესე იგი 30 ივლისს შეიკრიბება. 15 ივლისს უნდა გამოცხადებული იყო განაჩენი, რომ ბულანჟეს აეხადა სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლებანიო. ამ განაჩენის ძალით ბულანჟეს ნება აღარ ექმნება არჩეულ იქმნას დეპუტატად და ამას გარდა იმისი ქონება შეიკვრის და სახაზინოდ შეირიცხება. ასეთივე საქმე მოელით დილონსაცა და როშფორსაც.

ინგლისი. პარნელსა ჰკითხა კომისიაში გენერალ-პროკურორმა ვებსტერმა, სად არის წიგნები და დავთრები ირლანდიის საადგილ-მამულო ლიგისაო. პარნელმა უპასუხა, რომ ეგ დავთრები იგანძა წაიღო პარიჟში და სხვა საბუთები და ქაღალდები-კი დავწვითო. ფული ლიგისა დღეს პარიჟელ ბანკირს მონროესა აქვს შენახული.

«— არ შეგიძლიანთ მისწეროთ მონროეს, რომ გამოუგზავნოს სასამართლოს ანგარიში იმ ფულისა?

«— არა, მე არ შემიძლიან ისეთი საქციელი ვიტვირთო, რომ იმით გამოაშკარავდეს, სად რა ფული გვაქვს შენახული პარიჟში. ის ფული ჩვენ შემდეგ გამოგვადგება საპოლიტიკო ბრძოლაში. მე არ მინდა, რომ იმ ფულის გარემოება იცოდეს ვინმემ, თუნდა მტერი იყოს ჩვენი და თუნდა მოყვარეო.

— ინგლისსა და იმის მოქმედებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ქამად კრიტელების საქმეში. ინგლისს დღემდე ოსმალეთის მხარე უჭირავს. თუმ-

---

გაუგდებინებენ... ჯანი გაჰვარდეს ამ მოტყუებას, ნეტავი ქურდობას მაინც არ აჩვევდნენ ჩვენს სოფლის დედაკაცებს: ეს უკანასკნელნი გოდრებში პურს აღარ ჰბადებენ ქმრების სავალალოდ და ქვევრებში ღვინოს ზიზილ-პიპილებისა და „მოდნი“ კაბების გულისათვის. ამ გვარად მოგებული, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ნაყაჩაღარი ფული ზანდუკში ინახება. ეს ამოდენა ოფლი და შრომა ხალხისა ან დაობდება იქ და ან ისევ ოხრობატიალობას მოხმარდება.

ამდენს სიკეთესთან ერთად ეს პარუნგეურქები უკეთესს სიკეთეს გვიშვრებიან. მერე რა სიკეთეს რო იცოდე?! მამულების დაყიდარაბას გვაშორებენ თავიდამ: უგირავებენ ჩვენები მამულებს და იგირავებენ ისინი. თვალი დაუდგათ პარუნგებს! ახია იმათზე! ჩვენებს რად უნდათ მამულ-დედული, მერე ეხლანდელს დროში, როდესაც ვაზს ობი აჩნდება და მოსავალიც აღარ მოდის? ვისა აქვს ვაზის წამლობის და მოვლის დრო? ვისა სცალიან მამულის მოსავლელად?! То ли дѣло—ჩადი ქალაქში, გამოიწკიპე ლაზათიანად, ჩაიცვი კაი ჩერქესკა, კაი მესტები, ქუდი უკან გადიგდე, რომ გაბრწყინვალებული, განათლებული შუბლი გამობრყინდეს,— აიწკიპე ულვაშები სწორედ ისე, თითქოს ძერა გადუყლაპია და მხრები გარეთ დარჩომიაო, და აბა, ბიჭო, აღმა თუ დაღმა, მარჯვნივ თუ მარცხნივ, გაუტიე და გამოუტიე, რაც შეიძლო „გაჯეჭელდი“, ზოგან ხმალი და ხანჯალი იხმარე, სხვაგან დამბაჩა, თავი დასდე და ნურავის-კი დაანებებ საცაკი ლამაზი გოგოა, რომ ყველანი ამბობდნენ: აი კაციც ეს არის და ქუდიც ამასა ჰხურავსო ნეტავი შენს პატრონს, რომ ეგეთი ქვეყნის და მამულის დამამშვენები გაუზდიხარო!

ცალკე ადამიანს შენ დიდს მნიშვნელობას აძლევ პროგრესისა და ცივილიზაციის საქმეში. მეც შენი თანახმა ვარ: ცალკე ადამიანი ეპოქას, თითქმის ისტორიას ჰქმნის, თუ გული და გრძნობა უჭრის, შეუძლიან გაიყოლიოს საზოგადოება, თუ ამასთან ერთად წინ სიმართლეც მიუძღვის, — გამომეტყველია საზოგადოების საერთო მომწიფებულის ტკივილისა, მაგრამ თუ ცალკე ადამიანი აძალადებს საზოგადოებას ახალს საქმეს, ახალს წყობილებას, რომელსაც ნიადაგი არა აქვს საზოგადოებაში, იმას არ აავადებს, მაშინ ხმა ამ გვარის წევრისა ქარია, ქარივით მავალი. ჩვენს საზოგადოებას სტკივა რამ, თუ არა, დაუმწიფდა რამ აზრი, თუ არა,—ამას თავი დავანებოთ, მხოლოდ შენს ყურადღებას მივაქცევ ზოგ-ზოგ ადამიანის ნიმუშს. ამასაც-კი გეტყვი, რომ მე ჩვენს, ჩვენის საზოგადოების წევრს, ჩვენს ადამიანს, დღევანდელს დღეს რეფორმატორობას არა ვსდებ ვალად. ამ მხრით არც მინდა გავჩხრიკო იმისი ვინაობა, არამედ თვალს ვადევნებ იმის დღიურს ცხოვრებას, იმის დამოკიდებულებას ჩვენს შინაურს პატარ-პატარა საქმეებთან. ეს ჩვენი საქმეები, ჩვენნი დაწესებულებანი, რომელთაც ქართული ფერი და იერი ადევთ, შენც კარგად იცი და ამიტომ საჭიროდ არა ვრაცხ ჩამოგითვალო. იმას ნუ მიკიჟინებ, ეგ შემთხვევითი მაგალითები აუცილებელია, რადგანაც თვით იესო ქრისტეს თორმეტ მოციქულში ერთი გამცემელი იუდა გამოერიაო, ნუ მიკიჟინებ იმიტომ, რომ ჩვენებურს იუდას სხვანი კიდევ ზურგს უკანა ჰყვანან ამოფარებულნი: იუდა ყბედობს და ისინი-კი ხითხითებენ.

დავიწყოთ თუნდა მანდიდგან ჩამოსულ ახალგაზდებიდამ. გამოერევა ხოლმე მაგათში ისეთი თხა, რომელიც ჩამოვა თავის სამშობლოში, მანამ მოვა—ვინ იცის, იქნება შენც ეგრე ჩაიდინო,—წერილს გამოიმძღვარებს წინ, ერთს დიდ-კაცურად შემოგვჭყივლებს ჯერ, მერე მოგვსდგება და გვლანძღავს: არცა-რა წინათ ვიყავით, არც არაფერი ეხლა ვართ და შემდეგში-კი იქნება გამოვდგეთო, თუ ჩემს ჭკუაზე და დარიგებაზე ივლითო. ეს მატემატიკური ფორმულა ბრძენისა რომ მოვაბრუნოთ პირ ჩვენკე, გამოვა: ეს ბალღი, მართალია, კუტიც არის, მუნჯიც, ყრუც, მაგრამ მშვენიერი მსახიობი დადგებაო. ეს ჩვენი დამცირება ჩვენისავე თანამოძმისაგან, რა თქმა უნდა, დევთა გარმიანელთა იამებათ, რადგან იმათი წყურვილი ისაა, რომ გვძულდეს ის, რაც ყოველის კაცისათვის წმინდა-წმინდათაა, რაც ყველა კაცს უყვარს, რითაც ყველას თავი მოსწონს,—მიიდეთ და იმათ ბომონის ტრაპეზის წინ მუხლი მოვიყაროთ, სანთლები დავანთოთ... ახლა ის იკ თხე, თითონ რას აკეთებს ეს ვაჟბატონი. არაფერს არ აკეთებს, რადგან ჩვენი საქმე იმისთვის პატარა საქმეა, მეიდანზე ვერ ეტევა, იმას, როგორც ბედაურს ცხენს, დიდი სარბიელი სჭირია. დადის გაბღვერილი, გაბღენძილი, იკვებება თავის მოტყუებით: სიმართლე ვსთქვი და არავინ მიიღო ჩემი სიმართლეო. ბალღები კიდევ უფრო თავს აწონებინებენ ამ ვაჟბატონს. „ეგ სხვა კაცია, პრინციპის, იდეის მიმდევარიაო“, ამბობენ დაუბუმბლავი ბღარტები.

ახლა სხვა ჯურის ადამიანი ავილოთ, ისეთი ადამიანი, რომელსაც თავისთვის საკმაოდ სწავლა მიუღია, ქონებაცა აქვს და ვერ-კი შეუგნია და, უფრო სიმართლით რომ ვსთქვათ, არც კი უნდა შეიგნოს, თუ ქართველი კაცი უნდა ეხმარებოდეს ყოველის თავისის ძალ-ღონით, მატერიალურად, თუ ზნეობით, სამშობლოს მწერლობას, სიტყვიერებას, რაც უნდა სუსტი იყოს ის მწერლობა და თუნდაც ვერ აკმაყოფილებდეს იმის ცნობის-მოყვარეობას. არ ერჯის იმას გული გამოიჩინოს გრძნობა, სულ-უბრალო ადამიანობა, და გამოიწეროს გაზეთი...

სხვა ჯურა ადამიანია კიდევდა, იმას იდეიები ფეხებზედ ჰკიდია, იგი იწერავს გაზეთს მხოლოდ თავისის თავის სიამოვნებისათვის: წავიკითხავ ახალ ამბებს, გავიგებ ვინ მოკვდა, ვინ ცოცხალია, ვინ მიიღო ჩინი და ვის გაუწყრა ღმერთი და სრულიადაც დათხოვნილ იქმნა სამსახურიდამ; ვის ეყიდება მამულები და ვინ ჰყიდულობს; ვინ გაკოტრდა და ვინ გამდიდრდა; საჭმელ-სასმელი სად უფრო კარგი იყიდებაო და სხვ.-და-სხვ... ვინიცობაა როგორმე მოხდეს, ან-კი რა არ მოხდება ხოლმე ამ ჩვენს ცოდვილს დედამიწაზე, და ამ გვარი მკითხველი დაიჭირა ქსელისა და აბლაბუდის ბმაში დაბა-სოფლის კორრესპონდენტმა, ამ გაქუცულმა, გატუსულმა ურმის ღერძივით, მშიერ-ტიტველმა, აპოლონის გამოგდებულმა მეჯინიბემ, და ამოაყოფინა გაზეთში თავი, უყურე იმის შეხტომ-შემოტრიალებას: განა იმიტომ ვიწერავ გაზეთს და დანიშნულს ვადაზე ვგზავნი ფულს (გაზეთის დაკვეთით იმას რედაქციის დაქროთამეაც სწადიან), რომ ლაფით გამთუთხნონო, თითქოს გაზეთი ჰსვრიდეს იმას ლაფით და არა თავისი თავი. გააჩაღებს მწარე წერილს რედაქტორთან. ერთმა ჩემმა ნაცნობმა, ამ რიგად შეურაცხყოფილმა ვითომ, წამიკითხა წერილი, ერთის გაზეთის რედაქტორთან მიწერილი. აი იმ წერილის შინაარსი:

„თქვენი გაზეთი, ბატონო, თქვენვე მიიღეთ, სასმელ-საჭმელად გამოგადგებათ. ჩემი ფული უკანვე დამიბრუნეთ. ეგ იმედი არა მქონდა თქვენი. გაზეთის ფასი არა დროს არ დამიგვიანებია, წლის თავზედვე გიხდიდი ხოლმე მუდამ და რა იყო, რომ არ გაგეძაგებინეთ · თქვე დალოცვილო, ფულს მოითხოვდით და მოგართმევდით... განა ქართველმა კაცმა ქართველი ეგრე უნდა გამოიმეტოს, რომ ავი დაუშალოს და ავის საქმისათვის სამარცხვინოდ შეარცხვინოს და გაჰკიცხოს! უპურ-მარილო ყოფილხართ... გთხოვთ კიდევ, თუ როგორმე შეიძლება, გამრეცხოთ თქვენისავე გაზეთის საშუალებით და პატივის-ცემას არ დაგიკარგავთო“ და სხ...

ამ წერილის პასუხად რედაქტორისაგან ფულიც მოუვიდა დაკვეთილის გაზეთისა და კაი ლანძღვაც... ამ ჩვენმა ადამიანმა არამც თუ ქართულს გაზეთებზე აიღო ხელი, ქართულს წიგნსაც-კი, როგორც ჭირს, ისე უფრთხის ამ ამბის შემდეგ. ახლა ჯავრი კორრესპონდენტზე უნდა იყაროს. საწყალი კორრესპონდენტი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა შეწუხებულმა კრიტელებმა დაადგინეს, მივმართოთ ინგლისს და შემწეობა ვსთხოვოთო, და სთხოვეს კიდეც, მაგრამ ინგლისის მთავრობამ არ შეიწყნარა კრიტელების სათხოვარი. სალისბერის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ კრიტი ისევ ოსმალეთის მფარველობაში უნდა იყოსო. კრიტელები ეხვეწნენ საბერძნეთს, მოგვეშველეთ, თქვენი თანამემამულენი ვართ და თქვენთან ერთად გვინდა ყოფნაო, მაგრამ სუსტმა და მცირე საბერძნეთის სახელმწიფომ ვერ გაჰბედა ხელი შველისა გაეწოდებინა ერთ-სისხლ და ერთ-ხორც კრიტელებისათვის, ვაითუ ევროპამ მიწყინოს და მერე მომდგნენ და გამქელონო. დღეს კრიტელების კუნძულს მიადგნენ უზარმაზარნი ხომალდნი ინგლისისა, საფრანგეთისა და ოსმალეთისა. ოსმალეთმა დიდ-ძალი ჯარიც-კი ჩასხა ხომალდებში და გაჰგზავნა კრიტელების დასამშვიდებლად. კრიტელებს ძრიელ გაუჭირდათ და საერო კრებამ დაადგინა: მივმართოთ პანელინიზმს, ვითომ საერთოდ მთელს ბერძნობას, ბერძენთა კრებულს, და ვსთხოვოთ დახმარებაო. ბოროტი ენები ამბობენ, რომ კრიტის კუნძულიც ინგლისს უნდა ჩაიგდოს ხელში, ისე, როგორც კვიპროსის კუნძული ჩაიგდოვო. მაგრამ კრიტელებს ამისი გაგონებაც არ უნდათ. ინგლისმა დიდად შეავიწროვა ხალხი კვიპროსისა ხარჯითა და ბეგრით, უფრო ძრიელ, ვიდრე წინად იყვნენო. ჩვენ თუ საბერძნეთს შეგვიერთებთ, ხომ რა კარგი, თუ არა-და, ოსმალეთის ბატონობის მომთმენნი არა ვართო.

◆◆

## წვრილი ამბები

საფრანგეთის გაზეთებში მოთხრობილია შემდეგი ამბავი იმის შესახებ, თუ ახლა პარიჟში მყოფი ჯიბგირები რა დიდის უნარითა და მოხერხებით ჯიბგირობენ: ეიფელის კოშკის ჩრდილოეთის ზღუდესთან დიდ-ძალი ხალხი იყო თავ-მოყრილი და ელოდნენ პირველს ბაქანზედ ასვლას. ამ დროს ერთი რიგიანად ჩაცმული და გვარიანის შეხედულობის ინგლისელი მიუბრუნდა თურმე მოუთმენლად მოლოდინე და კეთილის სახის სქელს კაცს და ეკითხა, რომ კოშკიდგან ბევრნი იჩეხებიან და ბევრნი იმტვრევენ თავსაო. როცა თავის ქნევით ანიშნეს, რომ არავინაო, გაუკვირდა თურმე და აღმოუხვრით წამოიძახა: „მაშ მე ვიქნები პირველიო“. ეს სიტყვები ისეთის მწუხარებით გამოსცახადა თურმე, რომ რამდენიმე იქ მყოფთაგანი პოლიციის აგენტს მიუბრუნდა და გააფრთხილეს, რომ ამ კაცს თვალყური ადევნეო, მაგრამ პოლიციამაც ვერა გაარიგა-რა. მარტო სქელი ფრანგი სთვლიდა თავის მოვალეობად, მწუხარე ინგლისელი გაერთო და საზარელი სურვილი დაევიწყებინა. ეს სქელი ადამიანი აჰყვა ინგლისელს პირველ ბაქნამდე და აქ ლუდზედ დაპატიჟა, რომ ლაპარაკი გაება.

„— ნუ სცდილობთ გული გამიხსნათ და შიგ ნადები გამომათქმევინოთ, სიცოცხლე მომბეზრდა, უეჭველად თავს გადავიჩეხავ კოშკის თავიდგან, სთქვა თურმე ინგლისურის კილოთი იმ უცხო კაცმა.

„— მე არ გადაგაჩეხვინებთ თავს, თქვენდა უნებურად დაგიხსნით როგორმეო, უპასუხა სქელმა ფრანგმა.

„— მაგასაც გნახავთო, შენიშნა ინგლისელმა და აიწია ადგილიდგან.

გატაცებულ-მოყვარეობით აღძრული ფრანგი მაინც უკან გამოჰყვა მესამე ბაქანზედაც და სცდილობდა დაუშლევინებინა როგორმე.

„— აღბად ძალიან უბედური ხართ, იქნება ფული გიჭირთ? თუ აგრეა, მაგ დარდს კიდევ ეშველება...

„— არა, ჩემო ბატონო, პირ-იქით, მე შეძლებული ვარ, ძალიან მდიდარიც. თქვენ გადმოგცემთ ჩემს ქისას, რომელშიაც ოთხასი თუმანია, და ღარიბებს დაურიგეთ.

აქ ინგლისელი ეცადა გადასახედზე აცოცებულიყო, მაგრამ სქელი ფრანგი მოეჭიდა კალთებში და უკან დასწია.

„— მართლაო, წამოიძახა ინგლისელმა: სულ არ დამავიწყდა. აი ჩემი ქისაო, და თუმცა ფრანგი ქისას არ ართმევდა, ინგლისელმა ძალათი ჩაუდო თურმე ხან ერთს და ხან მეორე ჯიბეში: ეხლა-კი მშვიდობით...

ფრანგი კვლავ ეხვეწება, დაანებე მაგ საშინელს სურვილს თავიო. ამ დროს მივლენ კვლავ მაღლა ამყვან მანქანასთან. აქ სქელი ფრანგი მანქანით მაღლა ავა, ინგლისელი-კი იქვე დარჩება და სადღაც გაუტევს. უკან რომ ბრუნდებოდა ამ მგზავრობიდგან სქელი ფრანგი, ჯიბეები გაისინჯა და მიხვდა, რომ ის უბედური კაცი, რომელსაც თავის მოკვლა უნდოდა, ჯიბგირი ყოფილიყო და სხვა არავინ, რადგან იმ დროს, როცა ფულს აძლევდა და ჯიბეში აჩეჩებდა ოთხას თუმანს, ქისა გააცალა თურმე ხელს. იმისი ოთხასი თუმანი-კი უბრალო დაკეცილი გაზეთი აღმოჩენილა. სქელს ფრანგს ძალიან გაჰხარებია, რომ ჯიბეში ორის თუმნის მეტი არა მქონდაო.

— „Norddeutsche Allgemeine Zeitung“-ი ამბობს, რომ ბერლინის უნივერსიტეტში მყოფმა განზედ ამოსულ მეწუაულობის ქიმმა კიუნემანმა ერთი გვარი ბაცილა აღმოაჩინა, რომელიც მეჭეჭს გამოიწვევს ხოლმე. ამ გვარად კიუნემანმა დაამტკიცა, რომ მეჭეჭიც გადამდები სნეულებაა.

— ტეხასში ამას წინად ერთი ახირებული კაცი გარდაცვლილა და საკმაო ქონებაც დაუტოვებია. ამ კაცს, რადგან ნათესავი არავინა ჰყოლია, თავისი ქონება უანდერძებია იმ ტეხასელებისათვის, რომელნიც იმის წლოვანებისანი ყოფილან. ანდერძის ამსრულებელს, ქალაქ ტეილორელს და გვარად არჩინსს, ეხლა გაზეთებში განცხადება დაუბეჭდავს და მოიწვევს ყველა იმ ტეხასის მკვიდრს, რომელნიც 1843 წლის 9 მარტს დაბადებულან. კანონიერი საბუთი ამ დროს დაბადებისა, წლოვანების მოწმობა ორის თვის განმავლობაში უნდა წარადგინონ.

— ახირებული მასპინძლობა სცოდნიათ პრუსიის სამხედრო ნავთ-სადგურ კილის სასტუმროში. ერთი იქ ნამყოფი აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ: სასტუმროში რომ შეხვიდეთ და იკითხოთ რამე, თუნდა ლუდი, ლამაზი, ახალგაზრდა და სუფთად ჩაცმული ყმაწვილი ქალი მოგართმევთ. ეს ქალი მაშინვე მოგიჯდებათ გვერდზედ დაუპატიჟებულის თმით, რაც შეიძლება ახლოს, და დაგიწყებთ გართობას, გასმევთ, გალაპარაკებთ, თითონაც დალევს, მუხლზე დაგიჯდებათ, გაკოცებთ, ერთის სიტყვით, ყოველს საშუალებას ჰხმარობს, რომ რაც შეიძლება ბევრი დაგალევინოთ. ამასთან თითონაც იმდენსა სვამს, რამდენსაც სამი კაცი ვერ დალევდა. უარსაც ვერ ეტყვით, ვერ გასტუმრებთ, რადგან სირცხვილისა მგონი არა სწამთ-რა და ვერ გაუბედავთ რისამე თქმას. ამას იმიტომ სჩადის ეს ყმაწვილი ქალი, რომ ყოველ ცალიერს ბოთლზედ საჩუქარი ეძლევა სასტუმროს პატრონისაგან. სწორედ გაოცდება ადამიანი, იმათ სმას რომ უყუროს, სვამენ დილიდგან საღამომდე, რადგან ვაჭრობა დილის 9 საათზე იწყება და საღამოს 11 საათზე თავდება. თუმცა ასეთი ურცხვილონი არიან გარეგნად, უზნეობას მაინც არ მისდევენ და ხელის მიკარების ნებასაც-კი არავის მისცემენ. ყველა იმათგანს საქმრო ჰყავს და როცა ამ ხელობით მზითევის ფულს თავს მოუყრიან, მისთხოვდებიან ხოლმე თავისს ფრიცს, ან ალფრედს, რომელიც შუაგულს გერმანიაშია სადმე, ძეხვებს ჰკიდის და ისიც გროშებს თავს უყრის.

◆◆

# დეპეშა

20 მკათათვე

პეტერბურგი. დიდს მთავარს კონსტანტინე ნიკოლოოზის ძეს ძილი და მადა კარგი აქვს. დიდმა მთავარმა დღე და ღამეც კარგად გაატარა.

ლონდონი. გუშინ, მენშიონ-გაუზში სადილზე მართებლობის სახელით სალისბერიმ სთქვა, რომ ინგლისს განზრახვა არა აქვს კრიტი დაისაკუთროს და რომ ინგლისი იმ დრომდე არ გამოიყვანს თავისს ჯარებს ეგვიპტედგან, სანამ ამ ქვეყანას საშუალება არ ექნება თავისი თავი თითონვე დაიცვას მტერთაგანაო. ამას გარდა სალისბერი ამტკიცებდა, რომ ტყუილია, ვითომ ინგლისი გულგრილად ეკიდება აღმოსავლეთის საპოლიტიკო საქმეებს, ინგლისს არ შე-

---

ამისთანა საზოგადოების წევრთან მოვალეობაზე საუბარი მუშტით კლდის მტვრევას ემსგავსება. პატიოსნება, თავ-განწირულება, შებრალება — ყველა ის ზნეობრივი თვისება, რაც უნდა საზოგადოების წევრს ეპოვებოდეს, დასწავლით არ შეითვისება. რამდენმა იცის ლიბერალური კატეხიზმი, მაგრამ ცოდნამ რა ქნას, როდესაც კაი აზრები არ შესისხლ-ხორცებიათ, მოთხოვნილებად არა ექცევათ, როცა თვით გულს არ სწადიან მადლიანი საქმე და ნება (воля) ეწინააღმდეგება ამ თავში მოკრებილ ლამაზ აზრების შესრულებას. იმისდა უნებურად როგორ შეგიძლიან დაახმარო ან მწერლობას, ან თეატრს, ან სხვა-და-სხვა საზოგადოებას?! იგი „კანდრახტებს“ არის დაჩვეული და მაშინვე „კანდრახტს“ მოითხოვს. თუ „კანდრახტითა“ ვარ შეკრული დაგეხმარო, დაგეხმარებითო, იტყვის, მაგრამ მაინც „სასუდოდ“ გახდი საქმეს, „კანდრახტიც“ რომ წარუდგინო, და მოწმეებსაც იშოვის თავის გასამართლებლად.

იპოვებიან სხვა გვარი ადამიანნიც, რომელთაც კეთილი განზრახვა აქვსთ. ვერ უკიჟინებთ, რომ თავის ქვეყნის ვინაობა, ავ-კარგი არ ესმოდესთ, მაგრამ შესჩერებიან მხოლოდ ლუკმა-პურის შოვნას სამსახურისათვის თავ-დადებულნი სულ იმის ზრუნვაში არიან, ჯამაგირი მოემატოთ და ამაღლდნენ, ამაღლდნენ კიბესა ზედა სამსახურისასა, ვითა მამა ზაქარია ამაღლდა მთასა მას წმინდასა ხმითა საყვირისათა. ვისთვის და რისთვის? მარტო თავის თავისთვის. ამით ის არ მინდა ვსთქვა, რომ თავმოყვარეობა და სიმდიდრე საკიცხავი საქმე იყოს. არა, ყველა კაცს, სჯობია, უყვარდეს თავი და სიმდიდრეც ჰქონდეს, რადგან სიმდიდრეს უფრო ბევრი მადლი და სათნოება დასდევს თან, ვიდრე სიღარიბესა და სიბეჩავეს, მაგრამ აქაც კაცს არ უნდა ავიწყდებოდეს საზოგადოება, იგი სხეული, რომლის ასოც არის.

ესენი თავის კაი განზრახვას თავისს ცხვირს არ აცილებენ და ისე უნდა მივიღოთ ესენი, ვითომ არაფერი აზრი, არავითარი საზოგადოებრივი გრძნობა არა აქვსთ. ესენი დღეში სამჯერ რომ შეგხვდნენ, სამჯერვე „გამარჯვებას“ მოგაძახებენ, ხელს ჩამოგართმევენ, მოგიკითხვენ და მთელის წლის განმავლობაში ერთს საზოგადო საქმესკი ხელს შემწეობისას, დახმარებისას არ გაუწვდიან. სწორედ ჯადო აწევსთ ამათ გულზე. ვერა მკითხავი და ვერც ერთი მოლა ამ ჯადოს ვერ ამოიღებს. რაა თითონ ეს ჯადო თავის შინაარსითურთ? იგი მხოლოდ პიროვნულის ინტერესების დაკმაყოფილებაა, თავის თავზე დღიური ზრუნვაა. სადაც ამ გვარი გრძნობა მუშაობს მარტო, იქ ხომ პიროვნება კაცისა არა ჰფასობს. ჩვენის საზოგადოების წევრთაც არ ეფასებათ ერთმანეთი, არა ზრუნავენ ერთი მეორეზე, რადგან აქ ცალკ-ცალკე ინტერესების დაჯახებაა. ცალკე, პიროვნული ინტერესი უფრო გაძლიერებულია საზოგადოებრივზე და ამიტომ სჩრდილავს საზოგადო ინტერესს, სჩრდილავს-კი არა, ეს ცოტაა, არჩობს, თავსა სჭრის და არავის აცლის ამ უკანასკნელისათვის. ამ ჯურის ადამიანი, თუ უადგილოდ არის დარჩენილი, დღე-და-ღამ ღმერთს სულ იმას ეხვეწება, რომ სხვა მისივე მსგავსი კაცი მოკვდეს, ვაკანსია გაიხსნას და იმან დაიჭიროს...

წინანდელს დროში ხომ ესე არ იყო, დაბალ ხალხსაც-კი შენიშნული აქვს. როგორ უნდა შევადარო მაშინდელი საზოგადოების წევრი ეხლანდელს: მაშინ ერთს მეორე უყვარდა გულით და სულით, რადგან იმაში, სხვა რომ არაფერი იყოს, ჰხედავდა ფიზიკურს ძალას, იარაღის მომხმარე მარჯვენას, მტრის მომგერებელს. მეორესაც პირველი ამავე მიზეზისა გამო უყვარდა და ძვირად უღირდა თავის თანამოძმის სიცოცხლე, რომელიც ერთსა და იმავე დროს თავსაც იცავდა, სხვასაც. ეს სხვა იყო ქვეყანა, მამული. ძველი ლექსი კიდევაც დარჩენილა, რომელშიაც ეს ფაქტი ცხადად იხატება:

მე სოფლის თავსა ვესახლე,
არა სოფელი ჩემს თავსა;
რაც მე სოფლისთვის მინდოდა,
წინ-წინ მოვიდა ჩემს თავსა.

დიაღ, მაშინ ყველა დარწმუნებული იყო, რომ ქვეყნის წახდენა ცალკე ადამიანის წახდენა იყო. ეხლა ეს აღარ ჰგონიათ, ეხლა კუდა-მელიაობით თითოეულს ჰსურს თავისი სორო გაიმართოს მარტო და ბლომად ინდოურისა და ბატის თავი იქონიოს. რა ქვეყანა, რის ქვეყანა, რის ლოლი, რის დალაბანდი?! მე კარგადა ვარ, ფაშვზე ქონს ვიკრავ, კისერს ვისქელებ, მაშასადამე, ქვეყანაც ხარობსო. დღეს საქმე ისეა დაყენებული, რომ ერთს მეორე სძულს, როგორც, ქართულის ანდაზისა არ იყოს, სტუმარს სტუმარი და მასპინძელს ორივეო. დრომ სტუმრის ადგილას დააყენა ისინი, მართალია, მაგრამ რა დაუშლის ერთს ამ სტუმართაგანს (ოჰ, დრონო!), თუ სხვაზედ მეტი კერძი ერგო, ვისაც ნაკლები აქვს, ცოტა იმას გაუნაწილოს და იოლას წაიყვანოს?!.

დამრჩა უმეტესი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა — გლეხ-კაცობა, რომელსაც სათვალავში არ აგდებენ, როცა საზოგადოებაზე და ცალკე ადამიანზეა ხოლმე საუბარი. გლეხკაცობა-ღა დარჩენილა ერთგული მამა-პაპის ანდერძისა: იგი გულიანად, ერთგულად სჭიმავს მამა-პაპის ნაანდერძევ გუთანს, მკერდ-ოფლიანი ამუშავებს მადლიანის მარჯვენით თიხსა, ქარჩსა და ცულს, მაგრამ, სამწუხაროდ, იმის ძველთა წინამძღვართ ახალნი მოადგილენი, რომელთაც ჩვენ ინტელიგენციას ვეძახით, ველარ უწევს წინანდელთა მსგავს წინამძღვრობას... შორს სიარული რად გვინდა, ავიღოთ ხალხის სულის მწყემსად, დარაჯად დაყენებული წოდება — სამღვდელოება. ამათ როგორ-ღა უცვლიათ ფერი, თუ იცი? — „კაი ბიჭობაზე“, „ლონივრობაზე“, „მსმელობაზე“, ერთის სიტყვით რომ ვსთქვათ, — „ჯეელობაზე“ დამდგარან. ხუცესი ჯდება, ვსთქვათ, ნადიმად ხალხში. ისმის: „დალიე, დამალევინე, სული ნუ დამალევინე“. სულიერს მამას უნდა ყველას აჯობოს სმაში და თავზე გადაახტეს. ხშირად მოხდება მაგალითი, რომ ერთი ვინმე მისი სულიერი შვილი უფრო ფართო მუცლის პატრონი აღმოჩნდება და „მამას“ აჯობებს. მაშინ მამა სწყრება და მუშტით ასწორებს ამ ნაირს თასი-ყლაპიას. ჩნდება კიდევ რომელიმე მივარდნილს ქართულს სოფელში „კურსონიკი“ ხუცესი (პირველიც კურსონიკი გახლავსთ, ნუ დაივიწყებ), რომელიც თავს იკლავს, ხალხი უნდა რუსულ წირვა-ლოცვას შევაჩვიოვო. დიაკვანი, რომელსაც ძლივ-ძლივობით, რის ვაითა და ვაგლახით ხუცური ანბანი უსწავლია, ქამნ-დაითნის კითხვაში ჰირის ოფლს ასხამს, უპასუხებს: „რა ვქნა, მამაო, მე ვერ მოგეხმარები, რუსულისა ინჩი არ ვიციო“. მღვდელი, აღფრთოვანებული, აღგზნებული რუსულად წირვის წადილისაგან, დარიგებას აძლევს თავის დიაკვანს: „რა გინდა, მე ჩემს წესს ავასრულებ და შენ მარტო „Господи, помилуй!“ იძახეო. აქ ვინ არის რუსულის მცოდნე და ვინ განსჯის შენს უცოდინარობასაო. ხალხის თვალში-კი უფრო ავმაღლდებით, იტყვიან, პატივსაცემი მღვდელ-დიაკვანი გვყავს, რუსული წირვა-ლოცვაც იციან, და საკომლოებს უფრო ადვილად მოგვცემენო“.

ვგონებ შეგაწუხე ამდენის თეორიულის მსჯელობითა და ხორკლიანის ამბებით. სულ ერთზე ფიქრი და ერთსა და იმავე საუბარი კაცს გამოაშტერებს, გონებას ჰღალავს, როგორც ერთის საგნის თვალ-გაშტერებით ცქერა თვალებს. ეს ცხოვრების ხორკლი მე-კი «იდეია ფიქსად» გადამექცა. სწორედ დროა ეხლა თავი დავანებოთ ამ გვარს მსჯელობას და სამერმისოდ გადავსდოთ.

შენი მარადის პატივისმცემელი მამუკა

უძლიან ხელი აიღოს იმ პოლიტიკაზე, რომელსაც დიდი ხანია მისდევსო. ინგლისის პოლიტიკის თავი და თავი საგანი ის არის, რომ მშვიდობიანობა დაიცვას, ხოლო ამ პირობით, რომ ინგლისის ღირსებაც იქმნას დაცული. დიდი სამხედრო მზადება ევროპისა მშვიდობის საბუთია. ეს მზადება ომის სურვილს უკლავს სახელმწიფო კაცებს, რადგანაც დამარცხება ბრძოლის ველზე სრულის განადგურების მომასწავებელი იქნებაო.

პარიჟი. ბულანჟემ უარი სთქვა კანდიდატობაზე იმ ადგილებში, საცა ხელ-მეორედ უნდა მოხდეს კენჭის ყრა.

ათინა. კრიტის საერო ყრილობამ მიჰმართა მთელს ბერძნებს და სთხოვს დაეხმარონ კრიტელებს იმათს განთავისუფლებას. ყრილობამ გამოაცხადა, რომ კრიტის მდგომარეობა მეტად საშიშიაო. ამ ყრილობის თხოვნამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ზოგიერთი გაზეთი ამბობს, რომ მოლაპარაკებაა საჭირო იმის შესახებ, თუ რა დახმარება გაეწიოს კრიტელებსაო.

პარიჟი. ბულანჟემ პროკლამაცია გამოსცა. ბულანჟე მადლობას უძღვნის ამომრჩევლებს და ამბობს, რომ თუ ჩვენი გამარჯვება სრული არ იყო, ამისი მიზეზი ზოგიერთთა თავ-მოყვარეობა არისო, ხოლო მე სრული იმედი მაქვს საპარლამენტო არჩევანებისაო.

21 მკათათვე

პეტერბურგი. დღეს მობრძანდება პეტერგოფში უმაღლესი საცოლე დიდის მთავრის პეტრე ნიკოლოზის ძისა. ქორწინება იქნება 26 მკათათვეს პეტერგოფის დიდის სასახლის ეკკლესიაში. ჯვარ-წერის შემდეგ სალამოზედ დაქორწინებულნი წაბრძანდებიან სოფ. ზნამენსკაიაში, პეტერგოფს ახლოს.

ბელგრადი. მილანი და მთავრობა მორიგდნენ, რომ მეფე ალექსანდრემა და დედამ ერთმანეთი მარიამობის თვის დასაწყისს ინახულონო ან კიშინევსა და ან რუმინიაში. ამ ორში ადგილის ამორჩევა დედოფლის სურვილზე იქმნება დამოკიდებული.

პეტერბურგის ბირჟა, 18 მკათათვე.

| | მიცემული. | გამყიდველნისა. | მყიდველნისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 74 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 154½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — „ | — „ | 264¾ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 245¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულკავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

გამოვიდა ცალკე წიგნად და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ვაჟა-ფშაველას (ლ. რაზიკაშვილის)

„მოთხრობანი“

ფასი 30 კაპ.

ამავე მაღაზიაში ისყიდება

ი. გ. ჭავჭავაძის

მოთხრობა

„გლახის ნაამბობი“

ფასი 25 კაპ.

(10—6)

---

ტფილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები დანიშნულია 23, 24 და 26 აგვისტოსათვის. ამავე დროს ხელ-მეორედ უნდა გამოსცადონ ის ყმაწვილები, რომლებმაც წელს სრული ეგზამენი ვერ დაიჭირეს. თხოვნა უნდა შემოიტანონ სასწავლებლის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან 12 საათამდე, კვირა-უქმე დღეს გარდა, დირექტორის სახელობაზე. თხოვნასთან ერთად უნდა წარმოადგინონ წლოვანების მოწმობა და მოწმობა ყვავილის აცრისა. ყმაწვილები უნდა იყვნენ ჯან-მთელნი, არა ნაკლებ 13½ წლისა და არა უმეტეს 19-ისა.

ყმაწვილებმა უნდა იცოდნენ უმთავრესი ლოცვები და მოთხრობები საღვთო ისტორიისა, თავისუფლად უნდა კითხულობდნენ და წერაც უნდა შეეძლოთ ისე, რომ ბევრი შეცდომა არ მოსდიოდეთ. წერა-კითხვა სამშობლოსა და რუსულს ენაზე უნდა იცოდნენ. აგრეთვე უნდა იცოდნენ არითმეტიკის ოთხივე მოქმედება. (4—3)

---

ისყიდება

„საქართველოს სამოთხე“

ოც-და-ერთი წიგნი არის კიდევ დარჩენილი.

ფასი თითო წიგნისა ერთი თუმანი, გაგზავნით თერთმეტი მანათი.

ადრესი: ტფილისი, ბაგრატიონის ქუჩა, № 16. საბინინის სადგომი. (5—5)

---

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

---

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . . | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | ,, | 50 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | ,, | 3( |

---

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში, „კრუჟოკის“ გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

„დ ა ნ ი ა“,

რომელიც ყველაფრით მოხერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისეა გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თთვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაეთმობა.

საჭმელ-სასმელი შინაურია, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზითა და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (30—15)

---

სავაჭრო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

წელიწადი მერვე.

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1889—90 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ; ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს ტფილისს. (12—3)

---

რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.



არყის ხის ბალზამი დ—რის ლენგილისი,

სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას.

მომზადების წესი და რიგი:

ამ ბალზამის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ შიგ არ გაურიონ კანზედ ცუდად მომქმედი რაიმე ნივთიერებანი, პირ-იქით, ისეთები იხმარონ, რომელნიც სახისა და ხელების კანზედ კარგა ჰმოქმედებს და მარგებელია.

ფასი: შუშა ჭლის 1 მან. 65 კაპ.; ბეხზოს საპონ ჭლის 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ობო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ჭლის 70 კაპ., აზიის რუსეთს—1 მან.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება გ. აურიხთან ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18—19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან. (31—26)

---

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108. (50—15)

---

№ 4711.

ამ ფაბრიკის მარკით მომზადებული

ო-დე-კოლონი,
სურნელოვანი წყლები,
სატუალეტო საპონი საუკეთესო ღირსებისა,
გლიცერინის საპონი,
კანის დასარბილებელი საშუალებანი,
კბილის ტკივილის წამალნი,
პუდრა,
თმის ზეთი, პომადა,
ტუალეტის წყალი
და სხ.

თავისის მშვენიერის ღირსებისა და სიაფის წყალობით მთელს ქვეყანაზეა განთქმული.

ვსთხოვთ საპარფიუმერო საქონლის მყიდველთ, რომ ყიდვის დროს საქონელი მოიკითხონ აქ აღნიშნულ

საფაბრიკო № 4711. მარკიანი,

რომლისთანაც რუსეთის თითქმის ყველა საუკეთესო საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიებში ისყიდება.

უმთავრესი დეპო ტფილისისათვის იმყოფება ი. ბალცერეიტთან. (10—2)

Доз. ценз. Тифлисъ 21-го Іюля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე